24/04/2026

MES 5 26 0000476681

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 7 აპრილს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=81210453767
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნია გუგუნავა – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლინდა მინდიაშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნანა მონიავა
ირმა ღარიბაშვილი
ალექსანდრე კეკენაძე
ნანა ნატროშვილი
თეა ბარამაშვილი
ქეთევან ბოტკოველი
გიორგი მამასახლისი
დავით კუპატაძე
ხათუნა ურუშაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

„სსიპ კოლეჯი “ სპექტრი“
კოლეჯის დირექტორი – როინ (მათე) ტაკიძე
დირექტორის მოადგილე – თამარ ხატიაშვილი
დირექტორის მოადგილე – თეიმურაზ მაჩაიძე

სსიპ კოლეჯი „მერმისი“
დირექტორი – ნონა ღუდუშაური
ხარისხის მართვის მენეჯერი – ნანა ნამგალაძე

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი
კოლეჯის დირექტორი – თეიმურაზ ლორთქიფანიძე
კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში – ქეთინო ბაგაური
კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი – მარიამ ბალაშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯ სპექტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „Front-end დეველოპმენტი“, „საავტომობილო გზების მშენებლობა" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და „სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს N957774 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” საკითხის გახილვა;
2. სსიპ – კოლეჯ „მერმისში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი);
5. სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი);
6. სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი);
7. სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი);

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მიმართა საბჭოს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ, მეორე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს სხდომის ჩატარების დღე – 2026 წლის 7 აპრილი. მან

განმარტა, რომ აღნიშნული აუცილებლობა გამოწვეულია ადმინისტრაციული წარმოების ვადების დაცვის საჭიროებით. გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღის სხდომის დღესთან გათანაბრება უზრუნველყოფს სამართლებრივი პროცესების ოპტიმალურად დასრულებას. აღინიშნა, რომ ეს არ ვრცელდება დღის წესრიგის მესამე საკითხზე, რომელიც შეეხება სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „მასაჟის თერაპიის“ პროგრამის მონიტორინგის ადმინისტრაციულ წარმოებას.
საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ 2026 წლის 7 აპრილის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე (გარდა მესამე საკითხისა), მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 7 აპრილი.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯ სპექტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „Front-end დეველოპმენტი“, „საავტომობილო გზების მშენებლობა" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და „სსიპ კოლეჯ "სპექტრის" ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს N957774 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” საკითხის გახილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა მონიავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის N 28853 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯი სპექტრის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „საავტომობილო გზების მშენებლობა“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით განახორციელოს მონიტორინგის ვიზიტი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 12 თებერვალს სსიპ კოლეჯ სპექტრში (თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10). ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. შედგა ჯგუფის დისტანციური შეხვედრა, სადაც განხილული იქნა ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.
წინა წარმოების ფარგლებში, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში სამი პროგრამა - Front-end დეველოპმენტი, კომპიუტერული ქსელი და სისტემები და საავტომობილო გზების მშენებლობა, შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით, შესაბამისად, 2025 წლის 24 ივლისის საბჭოს სხდომის (ოქმი 955503.06.08.2025) ზეპირი მოსმენის შედეგად, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ჩანიშნულიყო მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით, შემდეგ კომპონენტებში: Front-end დეველოპმენტი - 2.2. და 2.4. კომპონენტი, კომპიუტერული ქსელი და სისტემები - 2.2. კომპონენტი. საავტომობილო გზების მშენებლობა - 2.2. კომპონენტი. აქვე, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მართალია Front-end დეველოპმენტის განმახორციელებლები უკვე აყვანილი არიან კონკურსით და შეიძლებოდა მხოლოდ დოკუმენტაციის შემოწმებით შემოფარგლულიყო ცენტრი, საბჭომ მიიჩნია, რომ აუცილებლად ადგილზე უნდა მომხდარიყო ახლად შერჩეულ პროგრამის განმახორციელებლებთან ექსპერტების გასაუბრება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექციასთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – საავტომობილო გზების მშენებლობა
„საავტომობილო გზების მშენებლობა“ (კოდი 0732) არის მეოთხე დონის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საავტომობილო გზების მშენებლობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ბესარიონ ჭიჭინაძის №10-ში მდებარე კოლეჯის ბაზაზე. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი კომპონენტების ჩათვლით, იგი 120 კრედიტით არის განსაზღვრული.
დაწესებულებას სრულყოფილად აქვს შეძენილი პროგრამით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობა. ვიზიტისას გადამოწმდა აღნიშნული რესურსი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ კომპანიებთან - შპს “ესტაკადა 2020”, შპს “ტესენ ქონსთრაქშენი”, შპს “აბსოლუტ სერვისი”, შპს„ფლორმასტერი“. პარტნიორი კომპანიები დაწესებულებას ხელს შეუწყობს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებას. დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.
კოლეჯს განსაზღვრული აქვს, თუ რა მატერიალური რესურსი უნდა გამოიყენოს კომპანიებში ვიზიტისას.
სწავლების ფორმად პროგრამაში გაწერილი იყო „იმიტირებული“ სამუშაო გარემო, რაც ტექნიკური შეცდომაა. პროფესიულ სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში გასვლა უწევთ პარტნიორ კომპანიებში, ვინაიდან გარკვეული პრაქტიკული კომპონენტები უნდა გაიარონ სავალდებულოდ კომპანიებში. შესაბამისად, ტექნიკური შეცდომა სწავლების ფორმა „იმიტირებული“ სასწავლო გარემო უნდა გასწორდეს - კოოპერაციულით.

ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი შეფასდა სტანდარტის შესაბამისად.

ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 15 პირის ოდენობით განსაზღვრა, რაც თანხვედრაშია დაწესებულების რესურსებთან.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სტანდარტთან მიმართებით, კოლეჯში მოწყობილია შესაბამისი A, B და C სასწავლო გარემოები, მათ შორის კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია 16 ერთეული თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებებითა და საჭირო ინვენტარით. პრაქტიკული კომპონენტების რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები ისეთ პარტნიორ ორგანიზაციებთან, როგორიცაა შპს „ესტაკადა 2020“, შპს „ტესენ ქონსთრაქშენი“, შპს „აბსოლუტ სერვისი“ და შპს „ფლორმასტერი“. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ დაწესებულებას სრულყოფილად აქვს შემენილი პროგრამით გათვალისწინებული ყველა მატერიალური აღჭურვილობა.
პროგრამის მდგრადობასა და ადამიანური რესურსების მართვას უზრუნველყოფს 11 კვალიფიციური მასწავლებელი, რომელთაგან 4 უშუალოდ დარგობრივ მოდულებს უძღვება. მასწავლებლისა და სტუდენტის რაოდენობრივი შეფარდება (11/15) ოპტიმალურია და თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირია წარმოდგენილი. პერსონალის დატვირთვა მკაცრად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით, მასწავლებლებს აქვთ მრავალწლიანი პრაქტიკული და პედაგოგიური გამოცდილება, გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები შეფასების მეთოდოლოგიასა და სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. პროგრამას ხელმძღვანელობს კვალიფიციური და დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის დაგეგმვის, ვალიდაციისა და პერსონალის შერჩევის პროცესებში.

დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

საგანმანათლებლო რესურსები და ბიბლიოთეკა სრულად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ლიტერატურა, მათ შორის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული მასალები. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერებითა და ინტერნეტით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად მოიძიონ და დაამუშაონ საჭირო ინფორმაცია. ინკლუზიური განათლების კუთხით, კოლეჯს შემუშავებული აქვს სპეციალური წესი (№60ა ბრძანება), რომელიც ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირთათვის სასწავლო გარემოსა და რესურსების ადაპტირებას, ჟესტური ენის თარჯიმნისა და ასისტენტების ჩართულობას. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ პროგრამაზე ამჟამად არ ირიცხება სსსმ სტუდენტი, დაწესებულების მზაობა და შესაბამისი სპეციალისტის არსებობა დადასტურებულია.
ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, კოლეჯი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სარგებლობს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. წარმოდგენილი ბიუჯეტი დეტალურად ასახავს შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას, მათ შორის მასწავლებელთა ანაზღაურებას, ადმინისტრირებისა და კომუნალურ ხარჯებს. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 10 სტუდენტით, რაც კვოტით გათვალისწინებული 15 სტუდენტის პირობებში უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და

ხარისხიან განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნით, პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“ შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კომპიუტერული ქსელი და სისტემები

საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (კოდი 0612), სტუდენტებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაცია. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ბესარიონ ჭიჭინაძის №10-ში მდებარე კოლეჯის ბაზაზე, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმით. საგანმანათლებლო კურსის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 87 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 107 კრედიტს შეადგენს.

დაწესებულებას სრულყოფილად აქვს შეძენილი პროგრამით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობა. დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.

ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი შეფასდა სტანდარტის შესაბამისად.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სტანდარტთან მიმართებით, პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი აღჭურვილობით. კოლეჯში მოწყობილია ორი სპეციალიზებული აუდიტორია, სადაც თითოეულ ჯგუფზე გათვალისწინებულია 15 სამუშაო ადგილი, აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, ციფრული დემონსტრირების საშუალებებითა და ინტერნეტით. დაწესებულებას სრულყოფილად აქვს შეძენილი დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო სპეციფიკური ინვენტარი, მათ შორის კომუტატორები, მარშრუტიზატორები, ანტისტატიკური ხალიჩები, სამაჯურები და დამცავი აღჭურვილობა. მატერიალური ფასეულობების ფლობა დადასტურებულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით, რაც ქმნის გარანტიას პროგრამის ტექნიკური გამართულობისთვის.

პროგრამის მდგრადობას განაპირობებს კვალიფიციური პერსონალი და ეფექტური მართვის სტრუქტურა. სასწავლო პროცესში ჩართულია 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 3 უშუალოდ დარგობრივ კომპეტენციას ფლობს. პერსონალის შერჩევა განხორციელდა მათი კვალიფიკაციისა და პედაგოგიური გამოცდილების გათვალისწინებით, ხოლო მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ შრომის კანონმდებლობასთან. ექსპერტთა მიერ მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა, რომ განმანათლებლებს აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისა და ობიექტური შეფასებისათვის საჭირო კომპეტენცია. პროგრამას ჰყავს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დანიშნული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი ცოდნა და ადმინისტრაციული ფუნქციების გააზრება დადასტურდა ინტერვიუირების ეტაპზე.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი შეფასდა სტანდარტის შესაბამისად.

საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კოლეჯის ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე, ხოლო სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სამკითხველო დარბაზით, კომპიუტერებითა და ასლგადამღები ტექნიკით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიურ განათლებას: დაწესებულებაში

მოქმედებს სპეციალური რეგულაცია (№60ა ბრძანება) სსსმ და შშმ პირთათვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის შესახებ. ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 4 სსსმ სტუდენტი, რომელთაგან ორისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კონკრეტული მოდულების (მეწარმეობა და უცხოური ენა) დასაძლევად. კოლეჯში დასაქმებული ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მუდმივად უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ადაპტირებას სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით.
პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია სახელმწიფო ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. წარმოდგენილი ბიუჯეტი დეტალურად ასახავს შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას, რაც მოიცავს მასწავლებელთა შრომით ანაზღაურებას, სასწავლო მასალების შეძენას, ადმინისტრირებისა და კომუნალურ ხარჯებს. ფინანსური ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 10 სტუდენტია, რაც არსებული 19 აქტიური სტუდენტისა და 60-იანი ზღვრული რაოდენობის პირობებში პროგრამის გრძელვადიანი და ხარისხიანი ფუნქციონირების მყარ საფუძველს ქმნის. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნით, პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – Front-end დეველოპმენტი
„Front-end დეველოპმენტი“ (კოდი 0612) არის მეოთხე დონის პროგრამა, რომელიც სტუდენტებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქალაქ თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ბესარიონ ჭიჭინაძის №10-ში მდებარე კოლეჯის ბაზაზე, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატში. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 60 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 90 კრედიტს შეადგენს.

დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.
ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი შეფასდა სტანდარტის შესაბამისად.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს. საგანმანათლებლო პროცესისთვის გამოყოფილია ორი სპეციალიზებული აუდიტორია, რომელთაგან თითოეული აღჭურვილია 15 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტებისთვის, შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერებით, პრინტერებით, ციფრული დემონსტრირების საშუალებებითა და ინტერნეტით. მატერიალური აღჭურვილობის ფლობა დადასტურებულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეჯი სრულად ფლობს იმ ტექნოლოგიურ რესურსს, რაც აუცილებელია იმიტირებულ სამუშაო გარემოში სტუდენტთა კომპეტენციების გამომუშავებისთვის.
ადამიანური რესურსების კომპონენტში, თავდაპირველი ხარვეზების აღმოფხვრისა და შესაბამისობის გეგმის შესრულების შემდეგ, პროგრამის მდგრადობა სრულად არის უზრუნველყოფილი. სასწავლო პროცესში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 4 დარგობრივ მოდულებს უძღვება. პირადი საქმეებისა და ინტერვიუების ანალიზით დადასტურდა, რომ პერსონალი სრულად ფლობს პროგრამაში მითითებულ თანამედროვე ტექნოლოგიებს. მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს. პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია და მიმართულია სასწავლო პროცესის ეფექტურ მართვაზე.
ბიბლიოთეკა და საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი,

ხოლო სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს აქვთ წვდომა კომპიუტერულ ტექნიკასთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია ბიბლიოთეკისა და მოდულების ფარგლებში ქართულენოვანი ლინკებისა და რესურსების დამატების შესახებ. ინკლუზიური განათლების კუთხით, კოლეჯში მოქმედებს სპეციალური რეგულაცია (№60ა ბრძანება), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთათვის გარემოსა და რესურსების ადაპტირებას. ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 1 შშმ და 3 სსსმ სტუდენტი, რომელთაგან ორისთვის, მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, შემუშავებულია სპეციალური სასწავლო გეგმები.
სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება თანამედროვე მეთოდოლოგიასა და ციფრული ტექნოლოგიების ათვისებას. წარმოდგენილი სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს კურსების თანმიმდევრულობასა და სტუდენტთა ოპტიმალურ დატვირთვას, ხოლო იმიტირებული სამუშაო გარემო გამორიცხავს გარე პრაქტიკის ობიექტის საჭიროებას. კოლეჯი გამოირჩევა მოქნილობით სტუდენტთა ინტერესების მიმართ, რაც დასტურდება კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, სადაც დაცულია შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმა. პროგრამის ფინანსური მდგრადობა კი გარანტირებულია სახელმწიფო ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით, ხოლო რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 10 სტუდენტით.
შეფასების სისტემა კოლეჯში არის ვალიდური, სანდო და ობიექტური. იგი მოიცავს განმავითარებელ და განმსაზღვრელ ფორმებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტის პროგრესის მუდმივ მონიტორინგს. დაწესებულებაში მოქმედებს შიდა ვერიფიკაციისა და ვალიდაციის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების ხარისხს და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას. შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – უვადოდ. მასწავლებლები სისტემატურად აწვდიან სტუდენტებს ინდივიდუალურ უკუკავშირს, რაც გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნით, პროგრამა „Front-end დეველოპმენტისთვის“ 2.4. კომპონენტი სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ სპექტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „Front-end დეველოპმენტი“, „საავტომობილო გზების მშენებლობა" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და „სსიპ კოლეჯ "სპექტრის" ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს N957774 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გადაწყვიტა, რომ დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ (ს/კ: 208183605) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, „Front-end

დეველოპმენტი“, „საავტომობილო გზების მშენებლობა" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით და ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯის "სპექტრი" ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 6 აგვისტოს N957774 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 7 აპრილი.

მეორე საკითხი: სსიპ – კოლეჯ „მერმისში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრს, ხათუნა ჩხარტიშვილს ჰქონდა თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა ნატროშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 15 იანვრის №28854 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 10 თებერვალს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი კოლეჯ „მერმისში“ (ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ჩიხი №9ა). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „გრაფიკული დიზაინი“ – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტის შესრულების შემოწმება საბჭოს ოქმის შსაბამისად. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში გაეცნო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებს, დაათვალიერა სასწავლო აუდიტორიები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკის კატალოგი. ჯგუფმა შეაფასა მატერიალური რესურსების რელევანტურობა სწავლის შედეგების მისაღწევად და ინტერვიუები ჩაატარა პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტი წარიმართა მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში. სტანდარტის დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა. აღინიშნა, რომ წინა წარმოებისას პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ ფარგლებში გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია (სტანდარტი 2.2.1.1), რადგან კომპიუტერული ტექნიკის მონაცემები ვერ აკმაყოფილებდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. კოლეჯმა, სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, განახორციელა კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტისას ადგილზე შეამოწმა ახალი აღჭურვილობა და დაადასტურა, რომ მათი ტექნიკური მახასიათებლები სრულად პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა „მეტწილი შესაბამისობიდან“ გადავიდა „სრულ შესაბამისობაში“.

აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში არსებულ გარემოებებს.

პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ (კოდი 0211) არის მეოთხე დონის, იგი ორიენტირებულია გრაფიკულ დიზაინში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებაზე. საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის ჩიხი №9ა-ში მდებარე კოლეჯის ბაზაზე, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატში. პროგრამის მოცულობა განსხვავებულია სასწავლო გეგმების მიხედვით: ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის იგი 118 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაინტეგრირებული გეგმით – 88 კრედიტს.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სტანდარტთან მიმართებით, კოლეჯში მოწყობილია სპეციალიზებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის გრაფიკული დიზაინის კომპიუტერული სახელოსნო (№305), ინგლისური ენის კაბინეტი და სხვადასხვა ინტეგრირებული მოდულების სივრცეები, როგორიცაა ქიმიის, ფიზიკა-ბიოლოგიისა და ხატვის ოთახები. თითოეული გარემო აღჭურვილია 20 ინდივიდუალური სამუშაო ადგილით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ კოლეჯმა სრულად შეასრულა წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაცია კომპიუტერული ტექნიკის პარამეტრების გაუმჯობესების შესახებ; ვიზიტისას დადასტურდა ახალი აპარატურის შესყიდვა, რომლის ტექნიკური მახასიათებლები სრულად პასუხობს პროფესიული სტანდარტის მაღალ მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვანია დიზაინის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე.

აღინიშნა, რომ ადამიანური რესურსების მართვა და მასწავლებელთა კომპეტენცია პროგრამის მდგრადობის ერთ-ერთი ძირითადი გარანტიაა. სასწავლო პროცესში ჯამურად ჩართულია 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 8 უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. პერსონალის რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირადი საქმეების შესწავლისა და ინტერვიუირების საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებლები ფლობენ სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისათვის საჭირო კომპეტენციას, აქვთ მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება და აქტიურად არიან ჩართულნი მოდულების

ადაპტირებისა და რესურსების განახლების პროცესში. პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც თავადაც მონაწილეობს სწავლების პროცესში და კარგად იცნობს პროგრამის სტრუქტურასა და შეფასების სპეციფიკას.
საგანმანათლებლო რესურსებისა და ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა კოლეჯში სრულად არის უზრუნველყოფილი. სტუდენტებს აქვთ წვდომა საჭირო ლიტერატურაზე როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. ბიბლიოთეკის სივრცე აღჭურვილია ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებითა და ასლგადამღები ტექნიკით, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელი მუშაობის პროცესს. ინკლუზიური განათლების კუთხით, კოლეჯში მოქმედებს დეტალურად გაწერილი მარეგულირებელი წესი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის გარემოსა და რესურსების ადაპტირებას. პროგრამაზე ამჟამად ირიცხება ერთი სსსმ სტუდენტი, რომლისთვისაც არსებული რესურსები სრულად საკმარისია და მისი მხარდაჭერა ხორციელდება ინდივიდუალური პროფილის გათვალისწინებით.
პროგრამის ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტებით, რომლებიც მომზადებულია როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმებისათვის. შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, რაც სრულად ფარავს სასწავლო მასალების, ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, კოლეჯი „მერმისი“ ფლობს ყველა საჭირო მატერიალურ, ადამიანურ და ფინანსურ რესურსს პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ მაღალ დონეზე განსახორციელებლად და იგი სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – კოლეჯ „მერმისში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ – კოლეჯ „მერმისში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "გრაფიკული დიზაინი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გადაწყვიტა, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ – კოლეჯ „მერმისში“ (ს/კ: 209467646) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "გრაფიკული დიზაინი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 7 აპრილი

მესამე საკითხი: სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით კუპატაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 11 თებერვლის 150421 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება ორ მისამართზე, ქ. თბილისში, ე. ნინოშვილის ქ. 55 და ქ. ქუთაისში, გაპონოვის ქ. 11, სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამის – „მასაჟის თერაპია“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 23 თებერვალს ქ. თბილისში (მის.: ე. ნინოშვილის ქ. №55), ხოლო 26 თებერვალს ქ. ქუთაისში (მის.: ბ. გაპონოვის 11). ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან. დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.
წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით – „მასაჟის თერაპია“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ იყო უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული

რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №03-34 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N2) თანახმად, დაწესებულების ღონისძიება იყო „მასაჟის თერაპიის“ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შესყიდვა, როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ბაზაზე“, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 5 თვე.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით – „მასაჟის თერაპია“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსი სრულად აქვს წარმოდგენილი, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით, ასევე ვიზუალური დათვალიერებით, როგორც ქ. თბილისის, ასევე ქ. ქუთაისის ლოკაციასთან მიმართებით. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

პროგრამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ „მასაჟის თერაპია“ (კოდი 0915) არის მეხუთე საფეხურის პროგრამა, რომელიც სტუდენტებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას მასაჟის თერაპიაში. იგი ხორციელდება ორ ადგილას: ქალაქ თბილისში, ე. ნინოშვილის ქუჩა №55-ში, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმით და ქალაქ ქუთაისში, გ. გაპანოვის №11-ში, რეალურ სამუშაო გარემოში. სწავლის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 97 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 127 კრედიტს შეადგენს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურდა, რომ ორივე მისამართზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 15-15 პირით არის განსაზღვრული, რაც სრულად შეესაბამება დაწესებულების რესურსულ შესაძლებლობებსა და არსებულ მოთხოვნას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე მისამართზე ხელმისაწვდომია „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ მოდულისთვის საჭირო სპეციფიკური აღჭურვილობა, როგორიცაა CPR მულაჟები (როგორც მოზრდილის, ისე ჩვილის), ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორის სიმულატორები, სისხლდენის სიმულატორები, დინამომეტრები და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტები. ქუთაისის ლოკაციაზე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება რეაბილიტაციის ცენტრთან „ნაიო“, რომელიც აქტიურად ფუნქციონირებს და მზად არის სტუდენტთა მისაღებად. ექსპერტთა შეფასებით, მატერიალური რესურსი ორივე მისამართზე სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ჯეროვან მიღწევას.

ადამიანური რესურსების მართვა და მასწავლებელთა კომპეტენცია პროგრამის მდგრადობის მყარ საფუძველს ქმნის. თბილისის მისამართზე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 მასწავლებელი, ხოლო ქუთაისში – 15 პირი, სადაც დარგობრივი მოდულების განმახორციელებელთა რაოდენობა ორივე ლოკაციაზე 9-9-ს შეადგენს. თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელია განსაზღვრული, რაც სასწავლო პროცესის უწყვეტობას უზრუნველყოფს. მასწავლებელთა დატვირთვა ოპტიმალურია და არ აღემატება კვირაში 40 საათს, რაც სრულ შესაბამისობაშია შრომის კოდექსის მოთხოვნებთან. პერსონალს გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და შეფასების მეთოდოლოგიაში, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელებს უდასტურდებათ სათანადო დარგობრივი კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილება სპორტისა და მასაჟის თერაპიის სფეროში.

საგანმანათლებლო რესურსებისა და ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კოლეჯში დანერგილია ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მექანიზმები, რაც პრაქტიკულად დასტურდება თბილისის ლოკაციაზე ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლების პროცესით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტსა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სტუდენტი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში და ამ ეტაპზე დამატებით ადაპტირებულ რესურსებს არ საჭიროებს. დაწესებულების მხრიდან გამოხატულია სრული მზაობა, რომ საჭიროების შემთხვევაში

განახორციელოს სასწავლო მასალების მოდიფიკაცია ან აკომოდაცია ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია სახელმწიფო ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი ორივე მისამართზე 9 სტუდენტია, რაც არსებული აქტიური სტუდენტების რაოდენობის (თბილისში – 10, ქუთაისში – 12) პირობებში პროგრამის ხარისხიან განხორციელებასა და საოპერაციო ხარჯების დაფარვას უზრუნველყოფს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნით, სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამა „მასაჟის თერაპია“ სრულად შეესაბამება ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მოთხოვნებს და შემოწმების შედეგად რაიმე სახის ხარვეზი ან დამატებითი რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.
საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, დავით კუპატაძეს, დაწესებულების მატერიალური რესურსებით აღჭურვის შესახებ. იგი დაინტერესდა იმ რესურსების სტატუსით, რომლებიც წინა საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში იმპორტირების პროცესში იყო და ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული დაწესებულებას. ექსპერტმა, განმარტა, რომ ინფორმაცია რესურსების ნაკლებობის შესახებ ასახული იყო წინა ვიზიტის დასკვნაში. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტისას დადასტურდა ყველა საჭირო რესურსის ადგილზე არსებობა. ექსპერტმა განმარტა, რომ აღჭურვილობის სრულად ფლობის ფაქტი გამყარებულია შესაბამისი ფოტომასალით, რომელიც წარმოდგენილია დასკვნაში. ნათია ბუთხუზმა დააზუსტა, ხომ არ არსებობდა დამატებით შესასყიდი ინვენტარის საჭიროება, რაზეც დავით კუპატაძემ უპასუხა, რომ ყველა აუცილებელი მატერიალური რესურსი უკვე დაწესებულების განკარგულებაშია. ექსპერტის შეფასებით, კოლეჯმა სრულად დააკმაყოფილა ის სტანდარტი, რომლის საფუძველზეც მონიტორინგის პროცესი წარიმართა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გადაწყვიტა დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში (ს/კ: 202949159) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" (ქალაქ თბილისის და ქალაქ ქუთაისის ლოკაციაზე) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გოჩა გოგიტიძე.

მეოთხე საკითხი: სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი);

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით კუპატაძემ, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2026 წლის 11 თებერვლის 150707 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 24 თებერვალს განხორციელა ვიზიტი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში (მის: ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დაწესებულებამ 2026 წლის 16 იანვარს ცენტრს მიმართა განაცხადით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დაწესებულება 2025 წლიდან ახორციელებს „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ პროგრამას მისამართზე – ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55. დაწესებულებას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“, სწავლის მსურველთა მაღალი

მოთხოვნიდან გამომდინარე, კონტიგენტის გაზრდის მიზნით სურს პროფესიულ პროგრამაზე არსებული (15 პროფესიული სტუდენტი) კვოტის გაზრდა 15 პროფესიული სტუდენტით, სულ 30 პროფესიული სტუდენტი იმიტირებული სწავლების ფორმით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადის ფორმაში პროგრამის სწავლების ფორმად მითითებული იყო კოოპერაციული, თუმცა ადგილზე ვიზიტის შემდგომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ ავტორიზაცია დაწესებულებას მინიჭებული აქვს იმიტირებული სწავლების ფორმით, აღნიშნული ჩანაწერი იყო ტექნიკური ხარვეზი და შესაბამისად, ექსპერტებს წარმოების ფარგლებში პროგრამა განეხილათ როგორც „იმიტირებული“ სწავლების ფორმით.
სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ბრძანებებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. 2026 წლის 18 თებერვალს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2026 წლის 24 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სათანადო დოკუმენტაციებს, გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ სტუდენტებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო. ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა და შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
ინდიკატორი 2.2.1.3 – პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.
იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას დაემატა ახალი განმახორციელებლები, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: კოლეჯმა უზრუნველყოს ახალი პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და მათი პროფესიული განვითარების პროცესში ჩართვა, რათა დაცული იყოს სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტი და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის ხარისხიანი განხორციელება.

„მასაჟის თერაპია“ (კოდი 0915) არის მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და იგი მიზნად ისახავს მასაჟის თერაპიაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, ე. ნინოშვილის ქუჩა №55-ში მდებარე სასწავლო კორპუსში, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატით. სწავლის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 97 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 127 კრედიტს შეადგენს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა დაწესებულების მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 15 ადგილით გაზრდის შესახებ, რაც ჯამურ კვოტას 30 პირამდე ზრდის. აღნიშნული მოთხოვნა დასაბუთებულია შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზით, რომლის მიხედვითაც მასაჟის სპეციალისტებზე მოთხოვნა HR.GE-ზე 24%-ს შეადგენს, ხოლო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ქვეყანაში კვალიფიციური

კადრების დეფიციტია ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომების გაცემის არარსებობის გამო.
პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ კოლეჯი ფლობს ყველა საჭირო აღჭურვილობას გაზრდილი კვოტის (30 სტუდენტი) მოსამსახურებლად. სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილია ორი A/C და ერთი A გარემო, რომლებიც სრულად პასუხობს პროფესიულ სტანდარტებს. კერძოდ, №101 აუდიტორია აღჭურვილია 8 სამასაჟე მაგიდით, რაც შეესაბამება დადგენილ ნორმას (ერთი მაგიდა ორ სტუდენტზე), ასევე მასწავლებლის ლეპტოპითა და პროექტორით. №306 აუდიტორიაში განთავსებულია 20 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი და სამედიცინო ტახტი, რაც აუცილებელია „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ მოდულის პრაქტიკული ათვისებისთვის. №308 აუდიტორია კი უზრუნველყოფს 20 სტუდენტზე გათვლილ თეორიული სწავლების სივრცეს. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ არსებული ფართი და ინვენტარი სრულად იძლევა 30 პროფესიული სტუდენტის გამტარიანობის შესაძლებლობას წელიწადში ორი ნაკადის მიღების პირობებში.
პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალი, რომელიც ჯამში 16 მასწავლებლისგან შედგება. მათგან 7 უძღვება ზოგად მოდულებს, ხოლო 9 პასუხისმგებელია დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებაზე. აღსანიშნავია, რომ კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულებამ დამატებით 5 ახალი მასწავლებელი მოიწვია. თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელია განსაზღვრული, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხებას, ხოლო მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა, რომ პერსონალი ფლობს შესაბამის დარგობრივ კვალიფიკაციასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. თუმცა, ახალი კადრების დამატების გამო, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია მათი სისტემური გადამზადების შესახებ, რათა შენარჩუნდეს სწავლებისა და შეფასების ერთიანი მაღალი სტანდარტი. პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს პროგრამის ადმინისტრირებასა და განვითარებაში.
საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია ელექტრონული კატალოგით, კომპიუტერებითა და ასლგადამღები ტექნიკით, ხოლო სამკითხველო სივრცე გათვლილია 12 სტუდენტზე. სტუდენტებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათ შეუფერხებელი წვდომა აქვთ ყველა საჭირო სახელმძღვანელოზე. ინკლუზიური განათლების კუთხით, დაწესებულებაში მოქმედებს სპეციალური რეგულაციები, რაც პრაქტიკულად დასტურდება პროგრამაზე ერთი სსსმ სტუდენტის სწავლების პროცესით. მას მხარდაჭერას უწევს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ასისტენტი. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სსსმ სტუდენტს, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა სასწავლო გარემოსა და მასწავლებელთა ყურადღების მიმართ. ბიბლიოთეკა მზადყოფნას გამოთქვამს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მასალების ადაპტირება, მათ შორის დიდი შრიფტით ბეჭდვა.
პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია სახელმწიფო ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 9 პროფესიული სტუდენტია, რაც 30-იანი კვოტის პირობებში პროგრამის ხარისხიანი განხორციელების მყარ საფუძველს ქმნის. ბიუჯეტი ადეკვატურად ასახავს მასწავლებელთა ანაზღაურების, მასალა-ნედლეულისა და საოპერაციო ხარჯების წილს. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსები სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას და მიიჩნევს, რომ დაწესებულებას შესწევს ძალა უზრუნველყოს „მასაჟის თერაპიის“ პროგრამის წარმატებული ფუნქციონირება გაფართოებული კვოტის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

ადამიანური რესურსისა და პროგრამის გამტარუნარიანობის შესახებ, საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა ახლად აყვანილი პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით. ავტორიზაციის ექსპერტმა, დავით კუპატაძემ, განმარტა, რომ ამ ეტაპზე პროგრამას 16 პროფესიული მასწავლებელი ემსახურება, რაც სრულად უზრუნველყოფს მოთხოვნილი კვოტის (30 სტუდენტი) გამტარუნარიანობას. პერსონალის პროფესიული განვითარების საკითხზე, დავით კუპატაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია მასწავლებელთა გადამზადებისა და მათი პროფესიული განვითარების პროცესში ჩართვის თაობაზე, სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტის უზრუნველსაყოფად. საბჭოს თავმჯდომარემ შენიშვნა გამოთქვა გაცემული რეკომენდაციის ზოგად ხასიათთან დაკავშირებით. მან ხაზი გაუსვა, რომ სხვადასხვა დასკვნებში იდენტური შინაარსის რეკომენდაციების არსებობა (ე.წ. copy-paste პრინციპით) დოკუმენტს ფორმალურ ხასიათს სძენს. თავმჯდომარის პოზიციით, მნიშვნელოვანია დარგის ექსპერტმა მოახდინოს რეკომენდაციების კონკრეტიზაცია დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაცვლად ხარისხის ექსპერტის მიერ ჩამოყალიბებული ზოგადი ფრაზებისა.

დარგის ექსპერტმა, ხათუნა ურუშაძემ, განმარტა, რომ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება კონკრეტულ მოდულებში, როგორიცაა „სამკურნალო მასაჟი“, სადაც დანერგილია ახალი მეთოდოლოგიები. მან აღნიშნა, რომ მასაჟის თერაპია მუდმივად განვითარებადი სფეროა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პერსონალის პერმანენტული დატრენინგება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ექსპერტმა ასევე დასძინა, რომ დასკვნის შინაარსი ხარისხის ექსპერტთან სრულად იყო შეთანხმებული. საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დააზუსტა, რამდენად საკმარისია პერსონალის არსებული კომპეტენცია პროგრამის მიმდინარე ეტაპზე განსახორციელებლად. მან დასვა კითხვა, ხომ არ ნიშნავს გადამზადების რეკომენდაცია იმას, რომ მასწავლებლებს ამჟამად არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა პროგრამის წარსამართავად. ხათუნა ურუშაძემ დაადასტურა, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მოქმედ სტანდარტს და მათ აქვთ რესურსი მოდულების სრულფასოვნად სწავლებისთვის. მისი განმარტებით, რეკომენდაცია ემსახურება არა ბაზისური ცოდნის არქონის აღმოფხვრას, არამედ კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებასა და დარგში არსებული სიახლეების ათვისებას.

ექსპერტთა დასკვნების მომზადების სტილისა და ფორმალიზმის შესახებ, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიმართ. მან აღნიშნა, რომ ოთხ სხვადასხვა დასკვნაში განმავითარებელი რეკომენდაციები სიტყვასიტყვით, პუნქტუაციის სიზუსტით (ე.წ. „copy-paste“ პრინციპით) არის გადმოტანილი. თავმჯდომარის განცხადებით, მსგავსი მიდგომა ატარებს ფორმალურ ხასიათს და მიუთითებს ექსპერტთა მხრიდან ინდივიდუალიზმის ნაკლებობაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეკომენდაციები უნდა ასახავდეს კონკრეტული დარგის სპეციფიკას და არა ზოგად, შაბლონურ ფრაზებს, რასაც მან „პლაგიატი“ უწოდა. ავტორიზაციის ექსპერტმა, დავით კუპატაძემ, განმარტა, რომ იდენტური ჩანაწერები ექსპერტთა ჯგუფის შეთანხმებული მუშაობის შედეგია. მისი თქმით, რეკომენდაციები ფოკუსირებული იყო არა პერსონალის დარგობრივ კომპეტენციაზე, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე – ვალიდაციის, ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემის დახვეწაზე, რაც ყველა განხილულ პროგრამაში იდენტურ გამოწვევას წარმოადგენდა. ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულება იზიარებს ამ ხედვას და მზად არის რეკომენდაციების შესასრულებლად.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, დააზუსტა, რომ საბჭოს მხრიდან დასმული კითხვები ემსახურებოდა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დეტალების დაზუსტებას. მან მიუთითა, რომ დასკვნაში არსებული ორაზროვანი ჩანაწერების გამო გაჩნდა საჭიროება, გარკვეულიყო, თუ რა ტიპის გადამზადებას სთხოვდნენ ექსპერტები პერსონალს.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მოუწოდა ექსპერტებს, რომ სამომავლოდ დასკვნები იყოს უფრო რეალური სურათის ამსახველი, დახვეწილი და დაცლილი შაბლონური მიდგომებისგან. მან აღნიშნა, რომ განმავითარებელი რეკომენდაცია არ უნდა იყოს მხოლოდ ფორმალური ჩანაწერი, არამედ უნდა აძლევდეს დაწესებულებას განვითარების რეალურ გზამკვლევს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი (ქ. თბილისი)

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) ქ. თბილისში დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 30-ით **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 7 აპრილი.

მეხუთე საკითხი: სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი)

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით კუპატაძემ, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2026 წლის 12 თებერვლის 157559 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 27 თებერვალს განხორციელა ვიზიტი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში (მის: ქ. ქუთაისი, ბ. გაპონოვის ქ. №11), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დაწესებულებამ 2026 წლის 16 იანვარს ცენტრს მიმართა განაცხადით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დაწესებულება 2025 წლიდან ახორციელებს „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ პროგრამას მისამართზე – ქ. ქუთაისი ბ. გაპონოვის ქ. №11. დაწესებულებას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“, სწავლის მსურველთა მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, კონტიგენტის გაზრდის მიზნით სურს პროფესიულ პროგრამაზე არსებული (15 პროფესიული სტუდენტი) კვოტის გაზრდა 15 პროფესიული სტუდენტით, სულ 30 პროფესიული სტუდენტი კოოპერაციული სწავლების ფორმით. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ბრძანებებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. 2026 წლის 18 თებერვალს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგ და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2026 წლის 27 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სტანდარტის

მოთხოვნების მიხედვით სათანადო დოკუმენტაციებს, გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო. ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა და შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.3 – პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას დაემატა ახალი განმახორციელებლები, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: კოლეჯმა უზრუნველყოს ახალი პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და მათი პროფესიული განვითარების პროცესში ჩართვა, რათა დაცული იყოს სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტი და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის ხარისხიანი განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ „მასაჟის თერაპია“ (კოდი 0915) წარმოადგენს მეხუთე დონის პროგრამას, რომელიც სტუდენტებს ანიჭებს უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას მასაჟის თერაპიაში. საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ბ. გაპონოვის ქუჩა №11-ში მდებარე სასწავლო კორპუსში, კოოპერაციული სწავლების ფორმატით. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 97 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 127 კრედიტს შეადგენს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა დაწესებულების მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 15 ადგილით გაზრდის შესახებ, რაც ჯამურ კვოტას 30 პირამდე ზრდის. აღნიშნული მოთხოვნა დასაბუთებულია შრომის ბაზრის ობიექტური ანალიზით, რომლის მიხედვითაც მასაჟის სპეციალისტებზე მოთხოვნა HR.GE-ზე 24%-ს შეადგენს, ხოლო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ქვეყანაში კვალიფიციური კადრების დეფიციტია ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომების გაცემის არარსებობის გამო. პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ კოლეჯი ფლობს ყველა საჭირო აღჭურვილობას გაზრდილი კვოტის მოსამსახურებლად. სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილია ორი A/C და ერთი A გარემო, რომლებიც სრულად პასუხობს პროფესიულ სტანდარტებს. კერძოდ, №315 აუდიტორია აღჭურვილია 21 ინდივიდუალური სამუშაო ადგილით და ორი სამედიცინო ტახტით, ასევე „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ მოდულისთვის საჭირო სრული ინვენტარით. №312 აუდიტორია უზრუნველყოფს 24 სტუდენტზე გათვლილ თეორიული სწავლების სივრცეს, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და დაფით. პრაქტიკული კომპონენტის რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ააიპ რეაბილიტაციის ცენტრთან „ნაიო“. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო ცენტრის მუშაობას, რომელიც აქტიურად ემსახურება პაციენტებს და ფლობს შესაბამის რესურსს სტუდენტთა ორი ნაკადის მისაღებად. ადამიანური რესურსების მართვა და მასწავლებელთა კომპეტენცია პროგრამის მდგრადობის მყარ საფუძველს ქმნის. სასწავლო პროცესში ჩართულია 15 კვალიფიციური მასწავლებელი, რომელთაგან 6 უძღვება ზოგად მოდულებს, ხოლო 9 პასუხისმგებელია დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებაზე. კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულებამ დამატებით ოთხი ახალი მასწავლებელი მოიწვია. თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელია განსაზღვრული, რაც გამორიცხავს სასწავლო

პროცესის შეფერხებას, ხოლო მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პირადი საქმეების შესწავლით დადასტურდა, რომ პერსონალი ფლობს შესაბამის დარგობრივ კვალიფიკაციასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. თუმცა, ახალი კადრების დამატების გამო, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია მათი სისტემური გადამზადებისა და პროფესიული განვითარების პროცესში ჩართვის შესახებ, რათა შენარჩუნდეს სწავლებისა და შეფასების ერთიანი მაღალი სტანდარტი.
საგანმანათლებლო რესურსებისა და ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია ელექტრონული კატალოგით, კომპიუტერებითა და ასლგადამღები ტექნიკით, ხოლო სამკითხველო სივრცე გათვლილია 8 სტუდენტზე. სტუდენტებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათ შეუფერხებელი წვდომა აქვთ ყველა საჭირო სახელმძღვანელოზე. ინკლუზიური განათლების კუთხით, დაწესებულებაში მოქმედებს სპეციალური რეგულაციები, რაც ითვალისწინებს სსსმ პირთათვის გარემოსა და რესურსების ადაპტირებას. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის ფილიალში ამ ეტაპზე არ ირიცხება სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტი, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაცია გამოხატავენ სრულ მზაობას, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ მასალების მოდიფიკაცია, მათ შორის დიდი შრიფტით ბეჭდვა და ინდივიდუალური ასისტირება.
პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია სახელმწიფო ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 9 პროფესიული სტუდენტია, რაც 30-იანი კვოტის პირობებში პროგრამის ხარისხიანი განხორციელების მყარ საფუძველს ქმნის. ბიუჯეტი ადეკვატურად ასახავს მასწავლებელთა ანაზღაურების, მასალა-ნედლეულისა და საოპერაციო ხარჯების წილს. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსები სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდას და მიიჩნევს, რომ დაწესებულებას შესწევს ძალა უზრუნველყოს „მასაჟის თერაპიის“ პროგრამის წარმატებული ფუნქციონირება გაფართოებული კვოტის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დასვა კითხვა თბილისისა და ქუთაისის ლოკაციებზე დასაქმებული პერსონალის იდენტობის თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ქუთაისის ფილიალს ჰყავს სრულიად დამოუკიდებელი, ადგილობრივი კადრი.

კვოტის გაზრდასთან დაკავშირებული პერსონალის დამატების საკითხზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ახალი მასწავლებლები არ აუყვანია, ვინაიდან პროგრამის მდგრადობისთვის რეზერვში მუდმივად ჰყავდათ შესაბამისი დარგობრივი სპეციალისტები. კვოტის გაზრდის შემთხვევაში, სწორედ აღნიშნული პედაგოგები ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში, რომლებთანაც ხელშეკრულებები წინა პროგრამის ფარგლებშიც არსებობდა.

პერსონალის პროფესიული განვითარებისა და მოდულური სწავლების გამოწვევებზე მსჯელობისას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დარგის სპეციალისტებს ხშირად ესაჭიროებათ დამატებითი გადამზადება მოდულური სწავლების მეთოდოლოგიასა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში, ვინაიდან მათი დიდი ნაწილი პარალელურად სპორტის უნივერსიტეტის ლექტორია, სადაც სწავლება საგნობრივი პრინციპით მიმდინარეობს. მან ასევე დააზუსტა, რომ კოლეჯი პერმანენტულად ახორციელებს მასწავლებელთა გადამზადებას. მაგალითისთვის აღინიშნა ლიმფოდრენაჟის მიმართულებით

სპეციალიზებული ლიტერატურის შეძენა და პერსონალისთვის შესაბამისი რესურსის მიწოდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი (ქ. ქუთაისი).

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) ქ. ქუთაისში დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 30-ით **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 7 აპრილი

მეექვსე საკითხი: სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი);

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 11 თებერვლის 150705 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "სპორტის ინსტრუქტორი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება. სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 24 თებერვალს ქალაქ თბილისის ლოკაციაზე (მის: ეგნატე ნინოშვილი N55). ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი. ვიზიტის დღეს ავტორიზაციის სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები. ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასების მიზნით ჩატარდა ინტერვიუ დაწესებულების ხელმძღვანელთან, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელთან, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა და შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.3 – პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას დაემატა ახალი განმახორციელებლები, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: კოლეჯმა უზრუნველყოს ახალი პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და მათი პროფესიული განვითარების პროცესში ჩართვა, რათა დაცული იყოს სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტი და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის ხარისხიანი განხორციელება.

„სპორტის ინსტრუქტორი“ (კოდი 1014) არის მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და იგი მიზნად ისახავს სპორტის ინსტრუქტორობაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, ეგნატე ნინოშვილის ქუჩის №55-ში მდებარე სასწავლო კორპუსში, რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული სწავლების ფორმატით. კურსის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 97 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 127 კრედიტს შეადგენს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა და სრულად გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 80 ადგილით გაზრდის შესახებ, რაც ჯამურ კვოტას 160 პირამდე ზრდის. აღნიშნული გადაწყვეტილება დასაბუთებულია პროგრამაზე არსებული სტაბილური და მზარდი მოთხოვნით, რაც დასტურდება 2024-2025 წლებში დაფიქსირებული აპლიკანტთა მაღალი აქტივობით, სადაც მსურველთა რაოდენობა 100-დან 140-მდე მერყეობდა.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ კოლეჯი ფლობს ყველა საჭირო ინფრასტრუქტურას გაზრდილი კვოტის სრულფასოვნად მოსამსახურებლად. საგანმანათლებლო პროცესისთვის გამოყოფილია ექვსი „A“ ტიპის (აუდიტორიები №305, №306, №308, №310, №312, №315) და ერთი „B“ ტიპის სასწავლო გარემო, სადაც თითოეული სივრცე გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. პროგრამის კოოპერაციული ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. კოლეჯი 2030 წლამდე უსასყიდლოდ სარგებლობს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტული მოედნებითა და დარბაზებით, ასევე „შპს არენას“ საცურაო აუზებით. გარდა ამისა, სპორტის კონკრეტული სახეობებისათვის მობილიზებულია მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემიის, ფარიკაობის, ძიუდოსა და ტანვარჯიშის ფედერაციების რესურსები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.
პროგრამის მდგრადობას განაპირობებს 38 კვალიფიციური მასწავლებელი, რომელთაგან 18 პროფესიულ მოდულებს უძღვება, ხოლო 11 უშუალოდ სპორტული სახეობების სწავლებაზეა პასუხისმგებელი. კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით პროგრამას დაემატა 2 ახალი პროფესიული მასწავლებელი. თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელია განსაზღვრული, რაც ამცირებს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს, ხოლო პერსონალის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ მასწავლებლები ფლობენ სათანადო დარგობრივ კვალიფიკაციასა და პედაგოგიურ უნარებს, რაც გამყარებულია 2025 წელს ჩატარებული სპეციალური გადამზადების ტრენინგებით შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ. თუმცა, ახალი კადრების დამატების გამო, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია მათი დამატებითი გადამზადების თაობაზე, რათა შენარჩუნდეს სწავლებისა და შეფასების ერთიანი მაღალი სტანდარტი.
საგანმანათლებლო რესურსებისა და ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა კოლეჯში სრულად არის უზრუნველყოფილი როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია 12-ადგილიანი სამკითხველო სივრცით, კომპიუტერული ტექნიკითა და ასლგადამღები საშუალებებით. ინკლუზიური განათლების კუთხით, დაწესებულებაში მოქმედებს დეტალურად გაწერილი მარეგულირებელი წესი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის გარემოსა და რესურსების ადაპტირებას. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ პროგრამაზე ამჟამად არ ირიცხება სსსმ სტუდენტი, კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და მზად არის უზრუნველყოს ინდივიდუალური მხარდაჭერა საჭიროების დადგომისთანავე. პროგრამას

ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესის მართვასა და სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში.
ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, პროგრამა „სპორტის ინსტრუქტორი“ ეფუძნება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 9 სტუდენტია, რაც 160-იანი კვოტის პირობებში პროგრამის ხარისხიანი ფუნქციონირებისა და განვითარების მყარ გარანტიას იძლევა. ბიუჯეტი ადეკვატურად ითვალისწინებს მასწავლებელთა ანაზღაურებას, სასწავლო მასალებისა და ადმინისტრირების ხარჯებს. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამა და მისი განხორციელების რესურსები სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი (ქ. თბილისი);

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სპორტის ინსტრუქტორი“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებგანაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) ქ. თბილისში დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "სპორტის ინსტრუქტორი" გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 160-ით **(დანართი 4)**.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 7 აპრილი.

მეშვიდე საკითხი: სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "სპორტის ინსტრუქტორი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი);

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 11 თებერვლის 150449 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "სპორტის ინსტრუქტორი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება. სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 27 თებერვალს ქალაქ ქუთაისის ლოკაციაზე, მის: ბ.გაპონოვის 11. ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი. ვიზიტის დღეს ავტორიზაციის სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები. ექსპერტებმა დაათვალიერეს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასების მიზნით ჩატარდა ინტერვიუ დაწესებულების ხელმძღვანელთან, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელთან, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა და შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.3 -პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას დაემატა ახალი განმახორციელებლები, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: კოლეჯმა უზრუნველყოს ახალი პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და მათი პროფესიული განვითარების პროცესში ჩართვა, რათა დაცული იყოს სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტი და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის ხარისხიანი განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სპორტის ინსტრუქტორი“ (კოდი 1014) მიზნად ისახავს სპორტის ინსტრუქტორობაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ბ. გაპონოვის ქუჩის №11-ში მდებარე სასწავლო კორპუსში, რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული სწავლების მოდელით. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 97 კრედიტით არის განსაზღვრული, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის იგი 127 კრედიტს შეადგენს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა და სრულად გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 40 ადგილით გაზრდის შესახებ, რაც ჯამურ კვოტას 80 პირამდე ზრდის. აღნიშნული გადაწყვეტილება დასაბუთებულია პროგრამაზე არსებული განსაკუთრებით მაღალი ინტერესით, რადგან 2024 წელს 40 ვაკანტურ ადგილზე 100-ზე მეტი განაცხადი დაფიქსირდა, ხოლო 2025 წელს კოლეჯს ადგილების არარსებობის გამო მიღება საერთოდ არ გამოუცხადებია.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ კოლეჯი ფლობს ყველა საჭირო ინფრასტრუქტურას გაზრდილი კვოტის სრულფასოვნად მოსამსახურებლად. საგანმანათლებლო პროცესისთვის გამოყოფილია სპეციალიზებული სასწავლო გარემოები, მათ შორის „A“ და „A/B“ ტიპის აუდიტორიები და პირველადი გადაუდებელი დახმარების სივრცე, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებითა და პრინტერებით. პროგრამის კოოპერაციული ხასიათიდან გამომდინარე, კოლეჯს 2030 წლამდე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქუთაისის წამყვან სპორტულ დაწესებულებებთან, როგორიცაა მ. ყუფარაძის სახელობის ტანვარჯიშის სკოლა, ოლიმპიური საცურაო აუზი, მძლეოსნობის, ჭიდაობისა და კომპლექსური სპორტული სკოლები. პარტნიორი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან თითოეულ ჯერზე მიიღონ 20 პროფესიული სტუდენტი და უზრუნველყონ მათი პრაქტიკული უნარების განვითარება შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ადამიანური რესურსების კომპონენტში პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 28 კვალიფიციური მასწავლებელი, რომელთაგან 16 პროფესიულ მოდულებს უძღვება, 8 – ზოგადს, ხოლო 4 – სპორტული სახეობების სწავლებაზეა პასუხისმგებელი. კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით პროგრამას დაემატა 4 ახალი პროფესიული მასწავლებელი. თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელია განსაზღვრული, რაც ამცირებს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს და სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს. ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ პერსონალი ფლობს სათანადო დარგობრივ კვალიფიკაციასა და პედაგოგიურ უნარებს, რაც გამყარებულია 2025 წელს ჩატარებული სპეციალური ტრენინგებით

შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ. მიზანშეწონილია ახალი მასწავლებლების ჩართვა დამატებითი პროფესიული განვითარების პროცესში სწავლების ერთიანი სტანდარტის შესანარჩუნებლად.

საგანმანათლებლო რესურსებისა და ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა კოლეჯში სრულად არის უზრუნველყოფილი როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია 8-ადგილიანი სამკითხველო სივრცით, კომპიუტერებითა და ასლგადამღები ტექნიკით, ხოლო რესურსები ხელმისაწვდომია „Google Drive"-ის პლატფორმაზეც. ინკლუზიური განათლების კუთხით, დაწესებულებაში მოქმედებს დეტალურად გაწერილი მარეგულირებელი წესი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის გარემოსა და რესურსების ადაპტირებას. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ პროგრამაზე ამჟამად არ ირიცხება სსსმ სტუდენტი, კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და ბიბლიოთეკა მზად არის უზრუნველყოს მასალების მოდიფიკაცია (მაგალითად, დიდი შრიფტით ბეჭდვა) საჭიროების დადგომისთანავე. პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც თავადაც მონაწილეობს სამი პროფესიული მოდულის განხორციელებაში.
ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, პროგრამა „სპორტის ინსტრუქტორი" ეფუძნება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 9 პროფესიული სტუდენტით არის განსაზღვრული, რაც 80-იანი კვოტის პირობებში პროგრამის ხარისხიანი ფუნქციონირებისა და განვითარების მყარ გარანტიას იძლევა. ბიუჯეტი ადეკვატურად ითვალისწინებს მასწავლებელთა ანაზღაურებას, სასწავლო მასალებისა და ადმინისტრირების ხარჯებს. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ქუთაისის ფილიალის მიერ წარმოდგენილი პროგრამა და მისი განხორციელების რესურსები შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "სპორტის ინსტრუქტორი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი (ქ. ქუთაისი).

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "სპორტის ინსტრუქტორი" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 56-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) ქ. ქუთაისში

დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "სპორტის ინსტრუქტორი" გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 80-ით **(დანართი 5).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 7 აპრილი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 13:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

ელექტრონული ფორმატი
შეესაბამება
ელექტრონულ